# ხელშეკრულება №26
## (გამარტივებული შესყიდვა)

2. 11. 2017 წელი

სოფ.ხიდიკარი

ერთის მხრივ ა(ა)იპ თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრი მისამართი ქამბროლაური სოფ. ხიდიკარი(შემდგომში შემსყიდველი) მისი დირექტორის გია გეწაძის სახით და მეორეს მხრივ ამხანაგობა „რაჭა" (შემდგომში – მიმწოდებელი), წარმოდგენილის გიორგი მურუსიძის სახით ვაფორმებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. შესყიდვის საგანი

1.1 შესყიდვის საგანია ა(ა) იპ თვითმმართველი თემი ამბროლაურის კულტურის ცენტრისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით, სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, კულტურის ცენტრში ლიტველი სტუმრების მიღება -მომსახურება CPV 55300000.

### 2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: კულტურის ცენტრში ლიტველი სტუმრების მიღება მომსახურება.

### 3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა 800(რვაასი ) ლარი.

### 4.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და პირობები .

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა დგება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 12.11. 2017 წლამდე.

### 5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

### 6. ანგარიშსწორების ფორმა, ვადები და ადგილი

6.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ანგარიშფაქტურის წარმოდგენიდან 10 დღის განმავლობაში.

### 7 .მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შემოწმების მიწოდებული საქონლის ხარისხი, და წუნის აღმოჩენის შემთხვევაში მოითხოვოს საქონლის შეცვლა ანდა ზიანის ანაზღაურება.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოითხოვოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
-გადასცეს შემსყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი.
-გადასცეს შემსყიდველს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა.
- საქონლის გადაცემის პარალელურად გამოწეროს და მიაწოდოს შემსყიდველს შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა.

### 8 .მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 მიწოდების ვადის დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.15% ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

### 9. ფორს-მაჟორი

9.1 ხელშეკრულების პირობების მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული პირობების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
9.2 ამ მუხლის მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან.
9.3 მხარე, რომელსაც შექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10.ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დასაშვებია:
- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისას.

10.2 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა მოხდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ნოემბრამდე.

## 12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მიმდინარეობის შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები.

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მიწოდებული საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა ხელმომწერ მხარეებს.

14.2 საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახდელების გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

## 15. მხარეთა რეკვიზიტები:

| შემსყიდველი: | მიმწოდებელი: |
| --- | --- |
| თვითმმართველი თემი | ამხანაგობა,,რაჭა" |
| ამბროლაურის კულტურის ცენტრი | ქ. ამბროლაური |
| ქ.ამბროლაური სოფ. ხიდიკარი | ს/ს თიბისი ბანკის ამბროლაურის ფილიალი |
| ტელეფონი 599 15 61 08 | ბ/კTBGBGE22 |
| საიდენთიფიკაციო კოდი 422934873 | ა/ა №GE35TB7528036020100001 |
| სახელმწიფო ხაზინა ბ/კ TRESGE22 | ს/კოდი 04001000574 |
| ს/კ №. 746653459 | |
| დირექტორი | დირექტორი: |
| ------------------ | ------------------ |
| [illegible] | / გ. მურუსიძე / |